ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1640863

ნომერი: AR1271813

თარიღი : 09.12.2014

გაცემის თარიღი : 15.12.2014

გაცნობის თარიღი : 22.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , (ნაკვეთი N 034/514) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქუთათელაძე პ/ნ 01024037631
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 64

ორგანიზაცია:

- შპს "კრეატივ ჯგუფი" კოდი: 404921803

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნულის განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- წარმოსადგენია ევროსტილი XXI"–ს და შ.პ.ს „Creative Group"–ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ მე-11 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძო სამართლის ურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

- "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"-ს ველში ატვირთული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი, რომელშიც საფირმო სახელწოდება ფიქსირდება შპს "Creative International Group", არ შეესაბამება "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა"-ს ველში ატვირთულ თანხმობას, რომლის მიხედვითაც ფართის მესაკუთრე შპს "ევროსტილი XXI" თანხმობას აძლევს შპს "Creative Group"-ს და არა ("Creative International Group"), აღნიშნული შესწორდეს და საჭიროებისამებრ "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"-ს ველიდან აღნიშნული დოკუმენტი ამოშლილ იქნას.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge